



ზოოტექნიკის და მექანიზაციის სერვის ცენტრი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დადოლარის მკვიდრი არმან არუთუნიანი განათლებით პოლიტოლოგია, მეორე პროფესიად კი ვეტერინარობა აირჩია. არმანს დიდი ხნის მანძილზე სურდა, სამცხე-ჯავახეთში ვეტერინარიის კუთხით ინოვაციური ტექნოლოგიები დაენერგა.

ახალგაზრდა ვეტერინარმა ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს LAG-ს მიმართა, პროექტი დაწერა და ENPARD2-ის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებაც მიიღო. გრანტის სახით მიღებული თანხითა და საკუთარი დანაზოგით შეძლო მობილური ვეტერინარული მომსახურების ცენტრის გახსნა. ცენტრი, ძირითადად ხელოვნურ განაყოფიერებაზეა ორიენტირებული.



“პროექტის ფარგლებში შევიძინეთ ექოსკოპიის აპარატი, ხელოვნური განაყოფიერებისათვის აუცილებელი ხელსაწყოები, ბიომასალის შესანახი მოძრავი მაცივარი, ავტომატური რეგიონის 10 ფერმერს ვემსახურებით. მსგავსი ცენტრის გახსნა ახალქალაქშიც გვაქვს დაგეგმილი, რაც ჩვენი მომსახურების არეალს გააფართოებს,” - ამბობს არმან არუთუნიანი.

მისივე თქმით, რთულია, ახალგაზრდა ვეტერინარების პოვნა, თითქმის ყველა ვეტერინარი უკვე ხანდაზმულია. თავისი საქმიანობით დარგის პოპულარიზებასაც გეგმავს. არმანს სურს, ახალგაზრდა თაობას დაანახოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი პროფესიაა ვეტერინარი, განსაკუთრებით ისეთ რეგიონში, როგორც სამცხე-ჯავახეთია, სადაც მესაქონლეობა ოჯახებისათვის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.





ხელოვნური განაყოფიერება კი ხელს შეუწყობს პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდას. გარდა ამისა, ხელოვნური განაყოფიერების გზით მიღებული პირუტყვი უფრო დაცულია დაავადებებისგან. მას უფრო მაღალი იმუნიტეტის აქვს და ეფექტურად უმკლავდება სხვადასხვა სნეულებებს.

ხელოვნური განაყოფიერების ფასი 60-70 ლარია, ხოლო მეორე მცდელობა - უფასო. ცენტრის მომსახურება მხოლოდ ხელოვნური განაყოფიერებით არ შემოიფარგლება. არმენი “აწარმოე საქართველოში” პროექტის ბენეფიციარიც გახლავთ, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე სოფელში ვეტრინარული აფთიაქი გაიხსნა. აფთიაქი აღჭურვილია ცხოველთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებით და პრეპარატებით. ეს კი ვეტერინარული სერვისი ცენტრისთვის დამატებითი დადაბით ფაქტორია და ვეტერინართა გუნდს საშუალებას აძლევს ხარისხიანი და დროული მომსახურება შესთავაზოს ფერმერებს პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებისა და ცხოველთა მკურნალობის კუთხით.

ამ ეტაპზე ცენტრში 3 ადგილობრივი დასაქმდა. მათი რიცხვი საქმიანობის გაფართოების პარალელურად გაიზრდება. მსგავსი ტიპის სერვისი ცენტრების შექმნა ხელს უწყობს რეგიონის ეკონომიკის განვითარებას და ახალგაზრდა თაობის ინოვაციური ტექნოლოგიებით დაინტერესებას.



ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირის საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხედურობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პაჩტნიოხები ახიან მეხსი ქოხფსი, ELVA საზოგადოებრივი ჩაჩთუღობა და დასავდეთ კოხკის განვითარების პაჩტნიოხოზა.

ევროკავშირის მხარს უჭეხს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხოჩიედება 2013 წლიდან საეჩთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევო. ENPARD-ის ძიჩითადი მიზანი საქართველოში სოფდად სიღაჩიბის დაძღევაა. პროგრამის პიჩვედი ფაზის პიოოტიგეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხედურობა, ხოღო მეოჩე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფდად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძღებღობების გაზიღას. დამატებითი ინფოჩმაციისათვის იჩიღეთ ვებ-გვეჩეღი: www.enpard.ge.